

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

1. წვიმა : დანამული

- (ა) კომპასი : მოხეტიალე
- (ბ) ჯავშანი : დაცული
- (გ) პარიკი : მელოტი
- (დ) თერმომეტრი : დამთბარი

2. ობიექტური : მიკერძობა

- (ა) ფიცხი : გულკეთილობა
- (ბ) მამაცი : შეუპოვრობა
- (გ) გულუხვი : სიძუნწე
- (დ) ნებიერი : სიამოვნება

3. ფრინველი : თვითმფრინავი

- (ა) ოკეანე : ზღვა
- (ბ) ჭავლი : ჩანჩქერი
- (გ) მორევი : მდინარე
- (დ) ტბა : წყალსაცავი

4. ძაფი : ქსოვილი

- (ა) წნელი : კალათი
- (ბ) ბაფთა : ნაწნავი
- (გ) ანკესი : ბადე
- (დ) რგოლი : ჯაჭვი

5. მარანი : მთვრალი

- (ა) გალია : დამწყვედელი
- (ბ) ნალი : დაჭედელი
- (გ) ქურქი : გამთბარი
- (დ) ბიბლიოთეკა : ნაკითხი

6. ბუჩქნარი : ფოთოლი

- (ა) ხეხილნარი : ხე
- (ბ) ბაღნარი : ბალახი
- (გ) ფიჭვნარი : წიწვი
- (დ) მუხნარი : რკო

7. შემოუარა : ირგვლივ

- (ა) მიცოცდა : ნელა
- (ბ) გაიზარდა : სწრაფად
- (გ) გაფრინდა : მალლა
- (დ) ჩავარდა : ქვემოთ

8. სცივა : მცივანა

- (ა) თმობს : ჯიუტი
- (ბ) უმართლებს : იღბლიანი
- (გ) ენდობა : ერთგული
- (დ) ფრთხილობს : მშიშარა

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

9. შესაძლოა, ორ ენას სესხების წყალობით ----- , მაგრამ ეს ენები მონათესავენი ----- , და, პირიქით, შეიძლება ორ ენაში ----- მოიპოვებოდეს, მაგრამ ----- აკავშირებდეს ერთმანეთთან.

- (ა) ათასობით საერთო სიტყვა ჰქონდეს / არ იყვნენ / მხოლოდ რამდენიმე მსგავსი ელემენტი / მათ მჭიდრო ნათესაობა
- (ბ) არ ჰქონდეს არც ერთი საერთო სიტყვა / იყვნენ / მხოლოდ რამდენიმე მსგავსი ელემენტი / მათ არაფერი
- (გ) ათასობით საერთო სიტყვა ჰქონდეს / იყვნენ / არც ერთი მსგავსი ელემენტი არ / მათ არაფერი
- (დ) არ ჰქონდეს არც ერთი საერთო სიტყვა / არ იყვნენ / ათასობით მსგავსი ელემენტი / მათ მჭიდრო ნათესაობა

10. დაპირისპირებულ ელემენტთა ჰარმონიული თანაარსებობა, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია, ----- ისინი დიამეტრულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თანაც, ----- , რომ ----- : თუ ----- .

- (ა) ამიტომ / უცნაური ის არის / ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ / არსებობს ერთი, არ არსებობს მეორე
- (ბ) ვინაიდან / უცნაური ის არის / ერთმანეთის გარეშე მათ არსებობას აზრი ეკარგება / არ არსებობს ერთი, არ არსებობს მეორეც
- (გ) ამიტომ / სავსებით კანონზომიერია / ერთმანეთის გარეშე მათ არსებობას აზრი ეკარგება / არსებობს ერთი, არ არსებობს მეორე
- (დ) ვინაიდან / სავსებით კანონზომიერია / ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ / არ არსებობს ერთი, არ არსებობს მეორეც

11. ზოგჯერ ----- პიროვნების სულსა და შინაგან ხასიათს ----- , ხოლო ----- , პირიქით, პიროვნების დამახასიათებელ, განუმეორებელ თვისებებს ----- .

- (ა) ფოტოგრაფიული სურათი / ზუსტად გადმოცემს / ორიოდ ძლიერი ხაზით გამოყვანილი პროფილი / უკეთ ავლენს
- (ბ) ფოტოგრაფიული სურათი / ვერ გადმოცემს / ორიოდ ძლიერი ხაზით გამოყვანილი პროფილი / კარგად გვაგრძნობინებს
- (გ) ორიოდ ძლიერი ხაზით გამოყვანილი პროფილი / ვერ გადმოცემს / ფოტოგრაფიული სურათი / ვერ ავლენს
- (დ) ორიოდ ძლიერი ხაზით გამოყვანილი პროფილი / ზუსტად ვერ გადმოცემს / ფოტოგრაფიული სურათი / მხოლოდ ნაწილობრივ გვაგრძნობინებს

12. აზროვნების დროს ადამიანი "თავისთვის მეტყველებს". ამ პროცესს შინაგან მეტყველებას უწოდებენ. შინაგანი მეტყველებისას ადამიანი სიტყვებს მხოლოდ იმის გასააზრებლად იყენებს, რაც ----- მისთვის, სუბიექტისთვის. ----- ის, რაც სუბიექტისთვის ----- , შინაგან მეტყველებაში ----- .

- (ა) ისედაც ნათელია / ხოლო / არ არის ცხადი / იჩენს ხოლმე თავს
- (ბ) ისედაც ნათელია / შესაბამისად / თავისთავადაც ცხადია / არ იჩენს ხოლმე თავს
- (გ) ნათელი უნდა გახდეს / შესაბამისად, / არ არის ცხადი / არ იჩენს ხოლმე თავს
- (დ) ნათელი უნდა გახდეს / ხოლო / თავისთავადაც ცხადია / არ იჩენს ხოლმე თავს

13. ქალსა და მამაკაცს შორის ----- საზოგადო მოღვაწენი ----- : მათი აზრით, ქალები ----- გაბედულნი არიან, ვიდრე მამაკაცები, ისევე, როგორც მამაკაცები – ----- ურომისმოყვარენი, ვიდრე ქალები.

- (ა) განსხვავებას / უგულვებელყოფენ / არანაკლებ / არანაკლებ
- (ბ) განსხვავებას / ხაზს უსვამენ / ბევრად უფრო / არანაკლებ
- (გ) მსგავსებას / უგულვებელყოფენ / არანაკლებ / ბევრად უფრო
- (დ) მსგავსებას / ხაზს უსვამენ / ბევრად უფრო / ბევრად უფრო

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

14. თამრიკო კოლაჟებისთვის მხოლოდ სამი სახის მასალას – მძივებს, ნიჟარებსა და ყვითელ ფოთლებს იყენებდა.

- თუ ის მუყაოზე აწებებდა მძივებს, მათთან ერთად აწებებდა ნიჟარებსაც
- თუ აწებებდა ნიჟარებს, მუყაოს ყვითელი ფოთლებითაც აფორმებდა

თამრიკომ გამოფენისთვის შეარჩია კოლაჟი, რომელიც მხოლოდ ერთი სახის მასალით იყო შესრულებული.

რა მასალით იყო შესრულებული ეს კოლაჟი?

- (ა) ნიჟარებით
- (ბ) მძივებით
- (გ) ყვითელი ფოთლებით
- (დ) ან მძივებით, ან ნიჟარებით

15. ნიკამ წაიკითხა შემდეგი ინფორმაცია:

- საპორტო ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა გემების მომწამლავი გამონაბოლქვის შედეგად
- გემების მომწამლავი გამონაბოლქვი ძრავის გაუმართაობის შედეგია

ნიკამ იმსჯელა გარკვეული წესით და ამ ინფორმაციის საფუძველზე დაასკვნა, რომ: საპორტო ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება გემების ძრავის გაუმართაობის შედეგია.

როგორ დასკვნას გამოიტანს ნიკა შემდეგი მტკიცებებიდან, თუ იმსჯელებს იმავე წესით?

- პორტის სანაპირო ზოლი მნიშვნელოვნად ზიანდება გემების შემოსვლის წესების დარღვევის გამო
- პორტში გემების შემოსვლის წესების დარღვევა ამ წესების არცოდნის შედეგია

- (ა) პორტში გემების შემოსვლის წესების დარღვევა სანაპირო ზოლის დაზიანების შედეგია
- (ბ) სანაპირო ზოლის დაზიანება გემების პორტში შემოსვლის წესების დარღვევის შედეგია
- (გ) პორტში გემების შემოსვლის წესების არცოდნა სანაპირო ზოლის დაზიანების შედეგია
- (დ) სანაპირო ზოლის დაზიანება გემების პორტში შემოსვლის წესების არცოდნის შედეგია

16. მოცემულია:

- საბაჟოს თანამშრომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია გარეული კორუფციულ გარიგებებში
- საბაჟოს თანამშრომელთა უმრავლესობა კვალიფიციურად ემსახურება მოქალაქეებს

*თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს **მცდარი**?*

- (ა) საბაჟოს ზოგიერთი თანამშრომელი კვალიფიციურად ემსახურება მოქალაქეებს
- (ბ) საბაჟოს ზოგიერთი თანამშრომელი გარეულია კორუფციულ გარიგებებში
- (გ) საბაჟოს ზოგიერთი თანამშრომელი არ არის გარეული კორუფციულ გარიგებებში
- (დ) საბაჟოს ზოგიერთი თანამშრომელი კვალიფიციურად ემსახურება მოქალაქეებს და გარეულია კორუფციულ გარიგებებში

17. ფსიქოლოგიურ კვლევაში ერთ-ერთი ჟურნალის მკითხველები მონაწილეობდნენ. კითხვაზე, დაეხმარათ თუ არა მათ ფსიქოლოგი პროფესიის არჩევაში და კმაყოფილნი არიან თუ არა თავისი პროფესიული საქმიანობით, გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ არ მიუშვრთავთ ფსიქოლოგისთვის პროფესიის არჩევისას, შეცდომით აირჩიეს პროფესია და იძულებულნი არიან შეიცვალონ ის ან ეძებონ სხვა სამუშაო.

ამ მონაცემების საფუძველზე ნინომ ივარაუდა, რომ:

შეუძლებელია პროფესიის სწორად შერჩევა ფსიქოლოგის გარეშე.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **აყენებს ეჭვქვეშ** ნინოს ვარაუდს?*

- (ა) ფსიქოლოგი ეხმარება ადამიანებს მათი პროფესიული მიდრეკილებების განსაზღვრაში
- (ბ) ფსიქოლოგთან კონსულტაციის შემდეგ ადამიანებს უადვილდებათ საკუთარ ინტერესებში გარკვევა
- (გ) კვლევაში მონაწილეობდა ძალიან ბევრი ადამიანი, რადგან ჟურნალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა
- (დ) კვლევაში მონაწილეობდნენ იმ ჟურნალის მკითხველნი, რომელიც განკუთვნილია მათთვის, ვინც სამსახურს ეძებს

18. მოცემულია:

- წრუწუნას ძალიან მოსწონს თავუნია წუნა

*ვთქვათ, ეს დებულება ჭეშმარიტია; შემდეგი ოთხი დებულებიდან რომელი იქნება **აუცილებლად ჭეშმარიტი**?*

- (ა) მართალია, რომ მართალია, რომ წრუწუნას არ მოსწონს წუნა
- (ბ) მართალია, რომ ტყუილია, რომ წრუწუნას არ მოსწონს წუნა
- (გ) ტყუილია, რომ მართალია, რომ წრუწუნას მოსწონს წუნა
- (დ) ტყუილია, რომ ტყუილია, რომ წრუწუნას არ მოსწონს წუნა

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით (საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დანომროთ აბზაცები).

ადამიანის ევოლუციაში შეიძლება გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებმაც, სავარაუდოდ, ბიძგი მისცა კომუნიკაციის უმაღლესი ფორმის – მეტყველების და, ზოგადად, ცნობიერების განვითარებას. ესენია: სოციალური სტრუქტურის განვითარება, როგორც გადარჩენის აუცილებელი წინაპირობა, და საკვები რაციონის მნიშვნელოვანი ნაწილის მოპოვება ე.წ. სოციალური ნადირობის საშუალებით. ამ ასპექტების მიხედვით, ადრეული ადამიანი მგელთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე თანამედროვე პრიმატებთან*.

მგელიც და ადრეული ადამიანიც, შესაძლოა, სხვადასხვა დროს და გეოგრაფიულად სხვადასხვა ადგილებში, ერთი და იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: როგორ ენადირათ დიდი ზომის მსხვერპლზე. ამ პრობლემას ევოლუციამ ორივე სახეობაში ერთი და იგივე გადაწყვეტა მოუძებნა. ეს იყო ჯგუფური ნადირობა, თანაც ზედმიწევნით ორგანიზებული და მოწესრიგებული. ჯგუფს ჰყავს ლიდერი, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრები ემორჩილებიან. თითოეულ წევრს აქვს თავისი ფუნქცია და პასუხისმგებლობა ნადირობის დროს. ამგვარი კოოპერაციული მოქმედება კი, თავის მხრივ, შეიძლებოდა გამხდარიყო კარგად ორგანიზებული სოციალური სტრუქტურის განვითარების წინაპირობა. ჯგუფი ყალიბდება სოციალურ ერთეულად, რომლის გარეშეც ინდივიდს არსებობა და გამრავლება არ შეუძლია.

ჯგუფის ფუნქციონირების საფუძველია წევრებს შორის თანამშრომლობა და მოპოვებული საკვების განაწილება. ასეთი სოციალური სტრუქტურის პირობებში საკვების მოპოვების, ნაშიერების წარმატებით გამოზრდა-დაცვისა და, მაშასადამე – გადარჩენის შანსი მკვეთრად იზრდება. ყოველივე ამის გამო მგელიცა და ადამიანიც თავ-თავიანთ ეკოსისტემებში ეკოლოგიური პირამიდის ზედა საფეხურებზე განთავსდნენ; ისინი ახერხებდნენ მათზე უფრო დიდი და ინდივიდუალურად ძლიერი მტაცებლებისგან თავის დაცვას, ისინი ე.წ. "ზემტაცებლები" გახდნენ და მსგავსი ეკოლოგიური ნიშები დაიკავეს.

მგლის ოჯახის იერარქიულ სტრუქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. იერარქიულ მოწყობაში ერთი მომენტია ფრიად საგულისხმო: არ არის აუცილებელი, რომ ჯგუფის ლიდერი – დომინანტი მგელი ფიზიკურად ყველაზე ძლიერი იყოს, ინდივიდის რანგს განსაზღვრავს არა მარტო ფიზიკური სიძლიერე, არამედ მისი გამოცდილება და გონებრივი შესაძლებლობებიც. ასე რომ, მგლებში ჩამოყალიბებულია ისეთი სოციალური სტრუქტურა, რომელშიც წინა პლანზე ინდივიდის გონებრივი მონაცემები გამოდის. ალბათ, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო პრეისტორიული ადამიანის სოციალური მოწყობაც, რათა ცნობიერების განვითარებისთვის ევოლუციური წინაპირობები შექმნილიყო.

მგლისა და ადრეული ადამიანის ეკოლოგიისა და სოციალური სტრუქტურის უფრო ღრმა ანალიზი ალბათ კიდევ უფრო მეტ მსგავსებას გამოავლენს მათ შორის. საგულისხმო ანალოგიაა ისიც, რომ მგელი მტაცებლად არ იბადება. მგლის ლეკვები ჯერ მშობლების მიერ მოტანილი წვრილი ცხოველების ჭამას "სწავლობენ", მერე კი იმას, თუ რომელია მათი პოტენციური მსხვერპლი. მგელს ეტაპობრივად უვითარდება მტაცებლური და მონადირული ქცევები. სწორედ უფროსებისგან ნასწავლისა და საკუთარი გამოცდილების წყალობით ყალიბდება ის წარმატებულ მტაცებლად და მონადირედ.

*პრიმატები – (აქ) მაიმუნები

19. ჩამოთვლილთაგან რომელია ის ორი ფენომენი, რომელთა მიხედვითაც ადრეულ ადამიანს მგელთან მეტი აქვს საერთო, ვიდრე თანამედროვე პრიმატებთან?

- (ა) კომუნიკაციის უმაღლესი ფორმის – მეტყველებისა და სოციალური სტრუქტურის განვითარება
- (ბ) საკვების მოპოვება ჯგუფური ნადირობის გზით და სოციალური სტრუქტურის ფორმირება
- (გ) სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბება და გადარჩენისათვის აუცილებელი ინსტინქტის განვითარება
- (დ) სოციალური ნადირობის მეშვეობით გადარჩენისათვის აუცილებელი წინაპირობის შექმნა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება

20. ტექსტის მიხედვით, სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბების წინაპირობას **არ წარმოადგენს:**

- (ა) ჯგუფის ჩამოყალიბება სოციალურ ერთეულად, რომლის გარეშეც ინდივიდს არსებობა და გამრავლება არ შეუძლია
- (ბ) ინდივიდთა ერთობლივი მოქმედება, თანაც ზედმიწევნით ორგანიზებული და მოწესრიგებული
- (გ) ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობისა და ფუნქციების გადანაწილება
- (დ) კოოპერაციული ქმედება, რომელიც გულისხმობს ინდივიდთა შეთანხმებულ აქტივობას

21. მგელიც და ადამიანიც "ზემტაცებლები" გახდნენ, ანუ თავ-თავიანთ ეკოსისტემებში:

- (ა) უნიკალური ადგილი დაიკავეს
- (ბ) უძლიერეს მტაცებლებად იქცნენ
- (გ) მსგავსი ეკოლოგიური ნიშები დაიკავეს
- (დ) ეკოლოგიური პირამიდის უმაღლეს საფეხურზე განთავსდნენ

22. რა თავისებურება ახასიათებს მგლის ოჯახის სტრუქტურას?

- (ა) ნებისმიერი ინდივიდის რანგს განსაზღვრავს ჯგუფის შიგნით სტაბილიზაციის შენარჩუნების უნარი
- (ბ) ოჯახის იერარქიის სათავეში დგას ისეთი ინდივიდი, რომელსაც შეუძლია ჯგუფის წევრებისთვის ნანადირევის თანაბრად განაწილება
- (გ) დომინანტი ინდივიდის რანგს განსაზღვრავს არა ფიზიკური სიძლიერე, არამედ – გამოცდილება და გონებრივი შესაძლებლობები
- (დ) ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეუძლია ნაშიერთა წარმატებით დაცვა და მათ გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა

23. რომელი პარალელი არაა განხილული ტექსტში?

- (ა) სხვადასხვა დროს და გეოგრაფიულად სხვადასხვა გარემოში მგელიც და პრეისტორიული ადამიანიც ერთი და იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: როგორ ენადირათ დიდი ზომის მსხვერპლზე
- (ბ) დროთა განმავლობაში მგელიც და პრეისტორიული ადამიანიც ეკოლოგიური პირამიდის ზედა საფეხურებზე განთავსდნენ
- (გ) არც მგლისა და არც პრეისტორიული ადამიანის ოჯახი არ არის სტატიკური წარმონაქმნი, რადგან დროდადრო აუცილებლად ხდება რანგების გადანაწილება და ზოგიერთი ინდივიდის გაქცევა
- (დ) არც მგელი და არც ადამიანი არ იბადება მტაცებლად, ორივეს ეტაპობრივად უვითარდება მონადირული ქცევები

24. ტექსტის მიხედვით, რა მიზანს ემსახურება, ზოგადად, სოციალური სტრუქტურის განვითარება?

- (ა) გონებრივ შესაძლებლობათა განვითარებას
- (ბ) კოოპერაციული მოქმედების უნარის შემუშავებას
- (გ) ჯგუფში სტაბილურობის შენარჩუნებას
- (დ) სახეობის გადარჩენას

25. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) შეჯამებულია ტექსტში წარმოდგენილი მოსაზრებები და მათ საფუძველზე ახსნილია კონკრეტული ფაქტი
- (ბ) დასაბუთებულია შემდგომი კვლევის აუცილებლობა ისეთი ფაქტის წარმოჩენით, რომელიც ჯერჯერობით არაა ახსნილი
- (გ) წარმოდგენილია ავტორის მოსაზრება საკითხის შემდგომი კვლევის პერსპექტივასთან დაკავშირებით, რომელიც გამყარებულია დამატებითი არგუმენტით
- (დ) ეჭვქვეშაა დაყენებული წინა აბზაცებში წარმოდგენილი მოსაზრებები და მოცემულია არგუმენტი ალტერნატიული შეხედულების სასარგებლოდ

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

26. მუსიკალური ნაწარმოები : სონატა

- (ა) სცენარი : სპექტაკლი
- (ბ) პეიზაჟი : პორტრეტი
- (გ) პროზა : ნოველა
- (დ) ოპერა : დასი

27. ნგრევა : შენობა

- (ა) გალექსვა : რითმა
- (ბ) დაკარგვა : საბუთი
- (გ) გამხელა : საიდუმლო
- (დ) გართობა : ლხინი

28. ნამგალი : ცელი

- (ა) ფანჯარა : ფარდა
- (ბ) საყურე : ყელსაბამი
- (გ) ქოთანის : ყვავილი
- (დ) ნიგოზი : კაკალი

29. პურის ყანა : ჯეჯილი

- (ა) მასწავლებელი : მოსწავლე
- (ბ) მანდილოსანი : ქალი
- (გ) შვილი : მშობელი
- (დ) მამაკაცი : ჭაბუკი

30. მზე : სიბნელე

- (ა) ხორბალი : მოსავალი
- (ბ) სათვალე : კითხვა
- (გ) ქურჭი : სიციხე
- (დ) წყალი : წყურვილი

31. ფურცელი : ტექსტი

- (ა) ალბომი : ფოტოსურათი
- (ბ) ეკრანი : გამოსახულება
- (გ) წიგნი : ილუსტრაცია
- (დ) კალენდარი : დღე

32. გამაგრება : მტკიცე

- (ა) დაპირისპირება : მძაფრი
- (ბ) შეშინება : სახიფათო
- (გ) გარდაქმნა : შეცვლილი
- (დ) გაცხადება : საიდუმლო

33. ნათურა : ჩირაღდანი

- (ა) ციხესიმაგრე : სათვალთვალო კოშკი
- (ბ) კომპიუტერი : საბეჭდი მანქანა
- (გ) ავტომობილი : ეტლი
- (დ) ფეხსაცმელი : ჩექმა

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

34. ტელეპათიის, წინასწარჭვრეტის და სხვა პარაფსიქოლოგიური მოვლენების მიმართ მეცნიერთა ----- დამოკიდებულების მიუხედავად, მათი უმრავლესობა ----- ამ მიმართულებით კვლევის ----- .

- (ა) პესიმისტური / უარყოფს / ჩატარების მიზანშეწონილობას
- (ბ) კრიტიკული / არ უარყოფს / გაგრძელების მიზანშეწონილობას
- (გ) უარყოფითი / მიზანშეუწონლად მიიჩნევს / გაგრძელებას
- (დ) დადებითი / მიზანშეწონილად მიიჩნევს / ჩატარებას

35. ჩვენთვის ----- ფუნქციონირების შესახებ, ----- ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ----- . ეს ----- ავხსნათ რთული პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ნერვულ სისტემაში, და არა თითოეულ ნერვულ უჯრედში.

- (ა) ცოტა რამ არის ცნობილი ცალკეული ნერვული უჯრედის / მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებია / მთლიანად ნერვული სისტემა / საშუალებას გვაძლევს
- (ბ) ბევრი რამ არის ცნობილი მთლიანად ნერვული სისტემის / მაგრამ ასევე ბევრია / ცალკეული ნერვული უჯრედი / საშუალებას გვაძლევს
- (გ) ცოტა რამ არის ცნობილი ცალკეული ნერვული უჯრედის / თუმცა ბევრი რამაა / მთლიანად ნერვული სისტემა / ხელს გვიშლის
- (დ) არცთუ ცოტა რამაა ცნობილი ცალკეული ნერვული უჯრედის / მაგრამ მეტად მცირე რამაა / მთლიანად ნერვული სისტემა / ხელს გვიშლის

36. რასაკვირველია, ავთანდილს ----- არ აკლია, ----- მხედრული სიქველე მაინც ----- როლს ასრულებს მის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტისას, რადგან ამ ამოცანებს მეტწილად ----- .

- (ა) ინტელექტუალური შესაძლებლობები / მაგრამ / მთავარ, არსებით / ინტელექტუალური ხასიათი აქვს
- (ბ) ინტელექტუალური შესაძლებლობები / სწორედ ამიტომ / არამთავარ, დამხმარე / მისი მებრძოლი ბუნება განსაზღვრავს
- (გ) მეომრული ღირსებები / მიუხედავად ამისა, / არამთავარ, დამხმარე / მისი მებრძოლი ბუნება განსაზღვრავს
- (დ) მეომრული ღირსებები / მაგრამ / არამთავარ, დამხმარე / ინტელექტუალური ხასიათი აქვს

37. ის ფაქტი, რომ ინგლისური ენა უკანასკნელი 500 წლის მანძილზე, ----- , შეიძლება მიეწეროს სწორედ ამ პერიოდში ----- . ხოლო, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს პრიმიტიულ საზოგადოებათა ენებში მიმდინარე ----- იმის გამო, რომ მათ ----- ნამდვილი ფონეტიკური დამწერლობა.

- (ა) წინარე პერიოდთან შედარებით, ნაკლებად შეიცვალა / წერილობითი კომუნიკაციის ფართოდ გავრცელებას / საკმაოდ სწრაფი ცვლილებები / არ გააჩნიათ
- (ბ) წინარე პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა / წერილობითი კომუნიკაციის გავრცელების შეფერხებას / საკმაოდ სწრაფი ცვლილებები / შექმნეს
- (გ) მომდევნო პერიოდთან შედარებით, ნაკლებად შეიცვალა / წერილობითი კომუნიკაციის გავრცელების დაბალ დონეს / უმნიშვნელო ცვლილებები / არ გააჩნიათ
- (დ) მომდევნო პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა / წერილობითი კომუნიკაციის ფართოდ გავრცელებას / უმნიშვნელო ცვლილებები / შექმნეს

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

38. პრესკონფერენციაზე ერთმანეთის გვერდით სხედან ჟურნალისტი, რეჟისორი და თარჯიმანი (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). თითოეულ მათგანს ქვემოთ დასახელებულ თვისებათაგან ერთ-ერთი ახასიათებს: ერთი კარგი ორატორია, მეორე – გამჭრიახი ადამიანია, მესამე – ფანტაზიორი.

- ის, ვინც მარჯვნიდან პირველი ზის, ფანტაზიორია
- ის, ვინც ჟურნალისტის მარცხნივ ზის, კარგი ორატორია
- ის, ვინც რეჟისორის მარჯვნივ ზის, გამჭრიახი ადამიანია

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ გამომდინარეობს ამ მოცემულობიდან?

- (ა) თარჯიმანი კარგი ორატორია
- (ბ) რეჟისორი კარგი ორატორია
- (გ) თარჯიმანი ფანტაზიორია
- (დ) ჟურნალისტი გამჭრიახია

39. დედას მეორე ოთახიდან შემოესმა მტვრევის ხმა. შევიდა და დაინახა, რომ იატაკზე ლარნაკის ნამსხვრევები ეყარა. სამი ბავშვი თავჩალუნული იდგა, ფისოც იქვე იჯდა. დედის კითხვას – ვინ გატეხა ლარნაკი? – მათ ასე უპასუხეს:

- დათუნა : მე გატეხე
- თიკო : მე არ გამიტეხია
- ლუკა : დათუნას არ გაუტეხია


დედამ ბოლოს მაინც გაიგო, ვინ გატეხა ლარნაკი და აღმოჩნდა, რომ ბავშვების პასუხებიდან მხოლოდ ერთია მართალი.

ვინ გატეხა ლარნაკი?

- (ა) თიკომ
- (ბ) დათუნამ
- (გ) ლუკამ
- (დ) ფისომ


40. მოსამზადებელი განმარტება:

საგანთა ნებისმიერი სიმრავლე შეიძლება თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ წრის სახით, რომელშიც თავმოყრილია ამ სიმრავლეში შემავალი ყველა საგანი და მხოლოდ ისინი. თუ ერთობლივად რამდენიმე სიმრავლე გვაქვს წარმოდგენილი წრეებით, მაშინ წრეების ურთიერთმიმართებებში (მაგ., თანაკვეთაში) აისახება სიმრავლეებს შორის რეალურად არსებული მიმართებები. მაგალითად, ცხენებისა და შინაური ცხოველების სიმრავლეების ერთობლივი წარმოდგენა იქნება შინაური ცხოველების წრეში ჩახაზული ცხენების წრე, რადგან ყველა ცხენი არის შინაური ცხოველი, მაგრამ არა პირიქით: შინაურ ცხოველებში ცხენების გარდა სხვა არსებებიც მოიაზრება.



ქვემოთ მოცემულია სიმრავლეთა სამეულები. მათგან რომელი სამეულია ერთობლივად წარმოდგენილი ნახაზზე?

- (ა) ხერხემლიანები (K), ფრინველები (L), თევზები (M)
- (ბ) სტუდენტები (K), სპორტსმენები (L), ვაჟები (M)
- (გ) ცოცხალი არსებები (K), მწერები (L), ფუტკრები (M)
- (დ) ადამიანები (K), აბიტურიენტები (L), ნიჭიერი ადამიანები (M)



41. ქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე მომხდარი საგზაო შემთხვევების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ იმ ქუჩებზე, სადაც დაყენებული იყო სიჩქარის შემამცირებელი ბორცვაკები, ავარიების შედეგად დაშავდა ნაკლები ბავშვი, ვიდრე ქუჩებზე, სადაც ასეთი ბორცვაკები არ იყო. ამ კვლევის მონაცემთა გათვალისწინებით, A ქუჩის მცხოვრებთა ნაწილმა გადაწყვიტა, თავიანთ ქუჩაზეც დაეყენებინათ სიჩქარის შემამცირებელი ბორცვაკები, რათა თავიდან აეცილებინათ ბავშვთა დაშავების შემთხვევები. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ამავე ქუჩის მცხოვრებთა ნაწილი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი მეტყველებს იმ ადამიანთა სასარგებლოდ, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას უმართებულად მიიჩნევენ?

- (ა) მოძრაობის სიჩქარის შენელება ხელს უწყობს მძღოლის ყურადღების კონცენტრირებას იმაზე, რაც გზაზე ხდება
- (ბ) კვლევის დროს შესწავლილ იმ ქუჩებზე, სადაც დაყენებული იყო სიჩქარის შემამცირებელი ბორცვაკები, ცხოვრობს გაცილებით ნაკლები ბავშვი, ვიდრე ქუჩებზე, სადაც ეს ბორცვაკები არ იყო
- (გ) ამა თუ იმ ქუჩაზე დაყენებული სიჩქარის შემამცირებელი ბორცვაკები აიძულებს მძღოლებს, სამოძრაოდ სხვა გზა აირჩიონ, რაც ქუჩაზე სიმშვიდეს უზრუნველყოფს
- (დ) ეს კვლევა ჩატარდა ზაფხულის არდადეგების პერიოდში, როდესაც ბავშვები გაცილებით მეტ ხანს თამაშობენ ქუჩაში, ვიდრე წელიწადის ნებისმიერ სხვა დროს

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით (საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დანომროთ აბზაცები).

დამწერლობა დასაბამს იღებს იმ ეპოქაში, როცა ადამიანი ცდილობდა თავისი აზრებისა და გრძნობების გადმოცემას სხვებისთვის გასაგები ხილული ნიშნების მეშვეობით. დამწერლობაში გრაფიკული ნიშნები წარმოადგენს მეტყველების ამა თუ იმ ელემენტის – მთელი გამონათქვამის, სიტყვის, მარცვლის, ბგერის – სიმბოლოებს. თავდაპირველად ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენებოდა ცალკეული საგნების, მოვლენების ამსახველი სურათები. ამ ეტაპზე დამწერლობასა და მეტყველებას შორის კავშირი საკმაოდ სუსტი იყო, რადგან წერილობითი მიმართვა სრულად არ შეესაბამებოდა მეტყველების სხვადასხვაგვარ ელემენტებს. მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ დამწერლობისა და მეტყველების ურთიერთშესაბამისობაზე, რაც ფონეტიკური, ანუ ენის ბგერით შედგენილობაზე დაფუძნებული დამწერლობა შეიქმნა.

დამწერლობა, როგორც ნიშნური სისტემის სპეციფიკური ტიპი, თავისი განსაკუთრებული ამოცანებითა და კანონებით, დამოუკიდებელი მეცნიერების საგნად პირველად ამერიკელი მეცნიერის, ი. გელბის ნაშრომში წარმოგვიდგა. გელბი უნდობლობით ეკიდება დამწერლობათა საერთო წარმოშობის შესახებ იმ დასკვნებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი ფორმის შედარებას ეყრდნობა.

გელბის აზრით, ამა თუ იმ ანბანის ასონიშნების ფორმალური მსგავსება უმეტეს შემთხვევაში ზედაპირული და არაფრისმთქმელია. მეცნიერი განიხილავს ტიპოლოგიურად განსხვავებულ ანბანთა – ფინიკიურის, ბრაჰმის, ნუმიდიურის და ა.შ. ცხრილს და განმარტავს: “ამ დამწერლობათაგან შეუძლებელია შევარჩიოთ ისეთები, რომელთა წარმოშობის ერთობა დამტკიცებულად ითვლება. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანი შეიცავს ნიშანთა გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც სავსებით ემთხვევა ერთმანეთს ან ურთიერთშორის დიდი მსგავსებით გამოირჩევა. ამის მიზეზი ნათელია. თეორიულად ასონიშნებად გამოსაყენებელ ვარგის ხაზოვან ფორმათა რიცხვი განუსაზღვრელია, მაგრამ, პრაქტიკულად, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება მარტივ ფორმებს, რომლებიც სწორ ხაზებს, სამკუთხედებს, კვადრატებსა და წრეებს წარმოადგენს, იმიტომ, რომ მათი დამახსოვრება ადვილია”.

ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს მოწაფემ საიდუმლო მიმოწერისთვის განკუთვნილი ანბანი გამოიგონა. ამ ანბანის ზოგიერთი ნიშანი განსაცვიფრებლად ჰგავს სემიტური დამწერლობის ასონიშნებს, თუმცა შეუძლებელია ბავშვს რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა სემიტურ ეპიგრაფიკაზე. გარდა ამისა, ცნობილია ჰოლანდიელი სწავლულის, იოჰანეს დე გროტის ცდა: ცხრა წლის გოგონას სთხოვეს, შეედგინა საკუთარი ანბანი, და მან მოიგონა ოცდაექვსი ასო, რომელთაგან შვიდი ზუსტად ემთხვეოდა ფინიკიური დამწერლობის ნიშნებს, ხოლო დანარჩენები – სინურ, კრეტულ და კვიპროსულ ასოებს ჰგავდა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ათეულობით განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული რომელიმე დამწერლობის წარმოშობის შესახებ, ანუ არაა დაზუსტებული მისი გენეზისი, სავარაუდოა, რომ ამ დამწერლობის ასონიშნები სხვა ანბანიდან კი არაა ნასესხები, არამედ – დამოუკიდებლად არის გამოგონილი. დამწერლობის ყველა ორიგინალური სისტემის ნიშნები სურათოვნებით გამოირჩევა და განკუთვნილია გარემომცველი სამყაროს საგანთა გამოსახატავად. იმის გამო, რომ მთელ მსოფლიოში ადამიანებსა და მათ გარემომცველ საგნებს ბევრი საერთო აქვთ, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ დამწერლობისათვის გამოყენებულ გრაფიკულ ნიშნებსაც ბევრი საერთო ჰქონოდათ, და საჭირო არაა ამ ნიშნებისთვის სხვა წყარო ვეძებოთ.

42. ჩამოთვლილთაგან რომელი უფრო ამომწურავად გადმოსცემს I აბზაცის ძირითად აზრს?

- (ა) დამწერლობის ფუნქცია არის მეტყველების ამა თუ იმ ელემენტის სიმბოლოს შექმნა. იმ ეტაპზე, როდესაც ასეთი სიმბოლო მოვლენისა თუ საგნის ამსახველ სურათს წარმოადგენდა, დამწერლობა სრულად შეესაბამებოდა მეტყველებას
- (ბ) დამწერლობის ფუნქცია არის მეტყველების ელემენტების გამოსახვა ხილული ნიშნების მეშვეობით, თუმცა წერილობითი მიმართვისა და მეტყველების ურთიერთშესაბამისობა მიღწეულ იქნა მხოლოდ დამწერლობის ფონეტიზაციის შემდეგ
- (გ) დამწერლობის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი ემთხვევა იმ ეპოქას, როდესაც ადამიანი ცდილობდა, წერილობითი მიმართვა მიეახლოებინა მეტყველების გარკვეულ ფორმებთან
- (დ) დამწერლობა დასაბამს იღებს იმ ეპოქაში, როდესაც გრაფიკული ნიშნები გამოიყენებოდა ინფორმაციის გადასაცემად და სრულად შეესაბამებოდა მეტყველების ელემენტებს

43. რომელი მოსაზრებაა **მცდარი**, ტექსტის მიხედვით?

- (ა) დამწერლობა, როგორც ნიშნური სისტემის სპეციფიკური ტიპი, თავისი განსაკუთრებული ამოცანებითა და კანონებით, იმთავითვე დამოუკიდებელი მეცნიერების საგნად გვევლინება
- (ბ) გელბი საექვოდ მიიჩნევენ დამწერლობათა მონოგენეზისის შესახებ იმ დასკვნებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი ფორმის შედარებას ემყარება
- (გ) გელბი არ გამორიცხავს, რომ დამწერლობათა მონოგენეზისის პრობლემის შესწავლისას ერთ-ერთი მეთოდი შეიძლება იყოს დამწერლობათა გარეგანი ფორმის შედარება
- (დ) გრაფიკული ნიშნები, როგორც ნიშნური სისტემის სპეციფიკური სიმბოლოები, შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს და ვიმსჯელოთ თითოეულის წარმომავლობაზე

44. რომელი მოსაზრების საილუსტრაციოდ განიხილავს გელბი ტიპოლოგიურად განსხვავებულ ანბანთა ცხრილს?

- (ა) დამწერლობათაგან შეუძლებელია შევარჩიოთ ისეთები, რომელთა წარმოშობის ერთობა აღიარებულია
- (ბ) ამა თუ იმ ანბანის ასონიშანთა შედარება უმეტეს შემთხვევაში არაფრისმთქმელია
- (გ) დამწერლობა, როგორც ნიშნური სისტემის სპეციფიკური ტიპი, დამოუკიდებელი მეცნიერების საგანია
- (დ) სხვადასხვა ანბანის ასონიშანთა ფორმალური მსგავსება უმეტეს შემთხვევაში ზედაპირულია

45. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია გელბის განმარტების საფუძველზე გამოტანილი დასკვნა?

- (ა) მიუხედავად იმისა, რომ ბრაჰმი და ფინიკიური – ტიპოლოგიურად განსხვავებული დამწერლობებია, თითოეული მათგანი შეიცავს მსგავს გრაფიკულ ნიშნებს
- (ბ) ბრაჰმისა და ფინიკიურ დამწერლობათა ზოგიერთი ნიშანი იმიტომ ემთხვევა ერთმანეთს, რომ ასონიშნებად გამოსაყენებელ ვარგის ხაზოვან ფორმათა რიცხვი თეორიულად შეზღუდულია
- (გ) სხვადასხვა წარმოშობის მქონე დამწერლობებში იმიტომ გვხვდება მსგავსი ნიშნები, რომ ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ იოლად დასამახსოვრებელ ფორმებს
- (დ) ასონიშნებად ვარგის გრაფიკულ ნიშანთა რაოდენობა თეორიულად განუსაზღვრელია, შესაბამისად, საერთო წარმოშობის მქონე დამწერლობებშიც არის განსხვავებული ნიშნები

46. რა ფუნქცია აქვს IV აბზაცში აღწერილი ორი ექსპერიმენტის შედეგებს?

- (ა) პირველი ექსპერიმენტი ამყარებს გელბის მოსაზრებებს, მეორე კი – ეჭვქვეშ აყენებს მას
- (ბ) ორივე ექსპერიმენტი განამტკიცებს და თვალსაჩინოს ხდის გელბის დასკვნებს ნიშანთა მსგავსებაზე
- (გ) ორივე ექსპერიმენტი საეჭვოს ხდის გელბის დასკვნების მართებულობას ნიშანთა მსგავსებაზე
- (დ) პირველი ექსპერიმენტი აბათილებს გელბის მოსაზრებას, მეორე კი – მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება მას

47. თუ ტექსტში მოხსენიებული ექსპერიმენტების გაანალიზებისას გავითვალისწინებთ გელბის მოსაზრებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:

- (ა) ბავშვებს მემკვიდრეობით გადაეცემა ინფორმაცია სხვადასხვა დამწერლობათა ეპიგრაფიკის შესახებ
- (ბ) მცირეწლოვან ბავშვთა მიერ საიდუმლო მიმოწერისთვის შექმნილი ასონიშნები, როგორც წესი, მოიცავს უძველეს დამწერლობათა გრაფიკულ სიმბოლოებს
- (გ) ორივე ექსპერიმენტის შემთხვევაში მითითებული დამწერლობები არსებითი მნიშვნელობის მქონეა გელბის მიერ შექმნილი ანბანთა ცხრილისათვის
- (დ) ორივე ექსპერიმენტის შემთხვევაში შეიძლებოდა ასოები დამსგავსებოდა ნებისმიერი სხვა დამწერლობის ნიშნებს, რადგან ანბანის შექმნისას, როგორც წესი, მარტივ ფორმებს იყენებენ

48. ავტორის აზრით, როდესაც ვერ ზუსტდება რომელიმე დამწერლობის გენეზისი, მაშინ:

- (ა) უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დამწერლობის ასონიშნები ნასესხებია ტიპოლოგიურად მსგავსი ანბანიდან
- (ბ) უნდა განვიხილოთ ტიპოლოგიურად განსხვავებული რამდენიმე დამწერლობის ცხრილი
- (გ) შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დამწერლობის ნიშნები დამოუკიდებლად, ნებისმიერად არის გამოგონილი
- (დ) ამ პრობლემის შესასწავლად უნდა დავეყრდნოთ, ძირითადად, დამწერლობათა გარეგანი ფორმის შედარების მეთოდს

49. ტექსტის წაკითხვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ:

- (ა) თავდაპირველად ინფორმაციის გადასაცემად იყენებდნენ საგნებისა თუ მოვლენების ამსახველ სურათებს, დამწერლობის ფონეტიზაციის შემდეგ კი გრაფიკულმა ნიშნებმა დაკარგა სურათოვნება
- (ბ) ყველა ორიგინალურ დამწერლობაში გრაფიკული ნიშნები წარმოადგენს გამონათქვამის, სიტყვის სიმბოლოს – სურათს, ამიტომ საჭირო არ არის ამ ნიშნებისთვის საერთო წყარო ვეძებოთ
- (გ) აღამიანებსა და მათ გარემომცველ საგნებს ბევრი საერთო აქვთ, და რადგან ამ უკანასკნელთა გამოხატვის ფუნქცია დამწერლობათა ნიშნებს ეკისრება, სხვადასხვა ნიშნურ სისტემაში არსებული ასოებიც შეიძლება დაემსგავსოს ერთმანეთს
- (დ) რადგან დამწერლობის ყველა სისტემის ასონიშნებს ახასიათებს სურათოვნება, და გარემომცველი სამყარო მრავალფეროვანია, ბუნებრივია, დამწერლობისთვის გამოყენებული გრაფიკული ნიშნებიც ნაირგვარი იქნება

50. ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებში მოკლედ აა ჩამოყალიბებული ამა თუ იმ აბზაცის შინაარსი (მათი რიგითი ნომრები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ტექსტში აბზაცების თანმიმდევრობას):

1. მოცემულია ორი ექსპერიმენტის შედეგი
2. დასახელებულია მკვლევარი, რომელმაც დამწერლობა, როგორც სისტემა, მეცნიერების საგნად წარმოგვიდგინა
3. ტექსტში წარმართული მსჯელობის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა
4. საუბარია დამწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე
5. მითითებულია ერთ-ერთი მეცნიერის კვლევის მეთოდი და წარმოდგენილია დასკვნა მისივე ციტატის სახით

რომელ აბზაცებს შეესაბამება ეს წინადადებები ანუ პასუხის ვარიანტებიდან რომელია მართებული?

- (ა) I აბზაცი – 2, II აბზაცი – 3, III აბზაცი – 5, IV აბზაცი – 4, V აბზაცი – 3
- (ბ) I აბზაცი – 4, II აბზაცი – 5, III აბზაცი – 3, IV აბზაცი – 1, V აბზაცი – 2
- (გ) I აბზაცი – 2, II აბზაცი – 1, III აბზაცი – 3, IV აბზაცი – 4, V აბზაცი – 5
- (დ) I აბზაცი – 4, II აბზაცი – 2, III აბზაცი – 5, IV აბზაცი – 1, V აბზაცი – 3

შავი სამუშაოსათვის

მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი – წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

1. ნული არც დადებითია და არც უარყოფითი;

1 არ არის მარტივი რიცხვი.

2. პროცენტი: a რიცხვის $k\%$ არის $a \cdot \frac{k}{100}$;

3. ხარისხი: $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$ (n -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

4. პროპორცია: თუ $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$, მაშინ $ad = bc$.

5. სიჩქარე: $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

6. საშუალო არითმეტიკული:

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$


7. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:

$$(a+b)^2 = a^2 + 2ab + b^2;$$

$$(a-b)^2 = a^2 - 2ab + b^2;$$

$$(a+b)(a-b) = a^2 - b^2.$$


8. ნახაზზე კუთხე შეიძლება კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით იყოს მონიშნული, მართი კუთხე კი – პატარა კვადრატით.



ჩანაწერი: $\angle A$ აღნიშნავს A კუთხის სიდიდეს.

9. პარალელური წრფეები:

• ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია: $\alpha = \beta$.



10. სამკუთხედი:

• სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 180° -ის ტოლია.


• პითაგორას თეორემა:

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრეტი ტოლია კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის:

$$AB^2 = AC^2 + BC^2 \text{ (იხ. ნახაზი).}$$

• სამკუთხედის ფართობი

სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევარის ტოლი $S = \frac{ah}{2}$.



11. ოთხკუთხედი:

• ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამია 360° .

• მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია: $S = ab$.

